საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1143 2016 წლის 14 ივნისი ქ. თბილისი

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ
სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსისათვის“ სესხის გაცემის შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიერ სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსისათვის“ არა უმეტეს 25 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სესხის გაცემის თაობაზე.

2. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) სადამფუძნებლო შეთანხმების მე-3 მუხლის, მესამე სექციის, (ii) პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წერილობით აცნობოს თანხმობა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (IFC) გამოგზავნილი წერილის შინაარსზე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი